ნიანგი

20

ISSN 0132-6015

ოქტომბერი

1989

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ჯ. ლოლუასი

ქ ც ე ვ ა

პ ა მ ფ ლ ე ტ ი

ქართულში ქ ც ე ვ ა რომ სამია, ყოველმა მეშვიდეკლასელმა მოსწავლემაც იცის: ს ა თ ა ვ ი ს ო, ს ა ს ხ ვ ი ს ო, ს ა ა რ ვ ი ს ო. სხვა ამბავია, ვის რომელი ქ ც ე ვ ა მოსწონს. ეს კი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორია მისი ქ ც ე ვ ი ს კულტურა, ანუ ვინ როგორ ი ქ ც ე ვ ა. ისიც შეიძლება მოხდეს, ქ ც ე ვ ა იცოდე და ქვეყანა დააქციო და, პირიქით, ქ ც ე ვ ა არ იცოდე და კარგად მ ო ი ქ ც ე.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა, როგორ ვიცით ქართველებმა ქ ც ე ვ ა, ანუ როგორ ვ ი ქ ც ე ვ ი თ? ჩვენი ქ ც ე ვ ი თ მხარი ხომ არ ა ვ უ ქ ც ი ე თ ერთადერთ სწორ გზას, საკუთარი ნებით ხომ არ ვ ა ქ ც ე ვ თ იმას, რაც საუკუნეთა მანძილზე საჩვენოდ მ ო გ ვ ი ქ ც ე ვ ი ა?

ჩვენ თანამედროვე საქართველოს შვილები ვართ და პასუხიც ერთია: არა, როგორ გეკადრებათ! თუმცა... ჩემშივე ჩასახლებული ვიღაცა ურწმუნო თომა თავისთვის ჩუმად ქირქილებს და საპირისპირო ურყევ და უტყუარ ცხოვრებისეულ ფაქტებზე მითითებს.

... აი, ქართველმა ჭაბუკმა ცოლად შეირთო რუსი ან სომეხი. ან... ერთი სიტყვით, არაქართველი ქალიშვილი. როგორი ქ ც ე ვ ა ა ეს? არა უშავს, ხოლო თუ ერთმანეთი უყვართ — მშვენიერიც კი. მხოლოდ ერთი პატარა შენიშვნა: ასეთ ოჯახში დანაშაულზე წასწრებულივით შერცხვენილი და გაბითურებული, უფლებააყრილი და დამცირებული უკანა კარიდან მიიპარება ქართული ენა. და მასთან ერთად ყოველივე ქართული, ტრადიციული, მშვენიერი, რაც ჩვენი ხალხისათვის მშობლიური, თბილი და ძვირფასია.

თქვენ ბრძანებთ, რძალმა ქართული ისწავლოს, ჩვენებური ოჯახის და, საერთოდ, ძირძველი ქართული კულტურის ტრადიციები გაითავისოსო? კი, როგორ არა, ეგღა აკლიათ! ასე და ამგვარად, ქრება საკმაოდ მრავალი შესაძლებელი ეროვნული უჯრედი!..

ასეთ ოჯახში აღზრდილმა ბავშვებმა მშობლიური ენა ან სულ არ იციან, ან მხოლოდ — საყველპურად, რაც ნულის ექვივალენტია. შემდეგ არაქართული საბავშვო ბაღი!.. არამშობლიური სკოლა!.. უმაღლესი სასწავლებელი, მუშაობა და ცხოვრება სხვათა ენით!.. პასპორტი კი რიხიანად ღაღადებს: ეროვნება — ქართველი!

დიახ, ასეთია ჯიუტი ფაქტი, მაგრამ კაცი იმედით ცოცხლობს და ჩვენც ოპტიმიზმით გაჟღენთილ პასუხს ასე ვაღრმავებთ: მერე რა, თუ მათ უმეტესობას ქართული ენა და ქართველები არ უყვართ და, რა თქმა უნდა, ვერც მამუღიშვილებად გამოდგებიან?! მერე რა, თუ ქართველმა კაცმა თავისი შვილები გაუზარდა სხვა ერს?! ის ერიც ხომ ჩვენია, საბჭოთაა?!

მაინც როგორია ასეთი ქ ც ე ვ ა?

ს ა ს ხ ვ ი ს ო! (გ ა-უ-ზ ა რ დ ა).

მერე რა მოხდა, თუ ეს მოვლენა მასობრივია და ისეთ მცირერიცხოვან ერს, როგორიც ქართველებია, საკმაოდ სოლიდურ უარყოფით ბალანსად ჩაეთვლება?! ეგ არაფერი — როცა ხეს ჭრიან, ნაფოტი სცვივა, მაშ, როგორ?! აბა, რაა უჩვეულო იმაში, თუ ქართველი ჭაბუკი, როგორც ყველა ეროვნების ახალგაზრდა კაცი, დაოჯახებისას მხოლოდ პირად ბედნიერებაზე ფიქრობს?! ასეთ დროს ხალხი, ერი, მისი ინტერესები ვის ახსოვს?! ჩვენდა გასაოცრად ამგვარად ი ქ ც ე ვ ი ა ნ არა მარტო უბრალო, რიგითი მშრომელები, არამედ საკმაოდ გათვითცნობიერებული ახალგაზრდა ინტელიგენტებიც. მერედა, რა ჰქვია ასეთ ქ ც ე ვ ა ს?

ს ა თ ა ვ ი ს ო!

კი, ეს ასეა, მაგრამ არ ღირს წუწუნი ამაზე! განა ისეთი უჩვეულო რა მოხდა თუ, როგორც სულმნათი აკაკი ბრძანებს, მათი ნაშიერი არც თავის ერს გამოადგება და არც იმ ხალხს, რომელსაც იგი სულიერად ეკუთვნის, ცხოვრებაშიც ვერაფრით გამოიჩენს თავს, რადგან ატროფირებული აქვს პატრიოტული გრძნობა და პატარა, უმნიშვნელო ადამიანის როლს სჯერდება!.. ჰოდა, ვერც მშობლეს გამოადგება ისე, როგორც მათ სურდათ. მაგრამ რაა აქ საგანგაშო?! ეს ხომ ჩვენს რესპუბლიკაში ჩვეულებრივი, საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა?!

მაინც როგორია მშობელთა ასეთი ქ ც ე ვ ა?

ს ა ა რ ვ ი ს ო!

ფრიად მისასალმებელი ქ ც ე ვ ა ა, როცა ქართველი მშობლები შვილებს რუსულ საბავშვო ბაღებსა და სკოლებში მასობრივად მიერეკებიან, როცა ჩვენებური კაცი თავის ისედაც ვიწრო ბინაში უცხო მოდგმის ხალხს ხელგაშლით ეპატიჟება საცხოვრებლად, მერე კი სტუმრები, აწ უკვე მასპინძლები, სახლის პატრონს ბინიდან აძევებენ!.. როცა ქართველი ახალგაზრდობის ერთი სოლიდური ნაწილი ჩრდილოეთს მიემგზავრება, იქ ქორწინდება და იქვე რჩება საცხოვრებლად, როცა ჩვენი ახალგაზრდა ოჯახები მხოლოდ თითო-ოროლა შვილის გაჩენა-აღზრდით კმაყოფილდებიან!..

ყოველივე ამით ხომ სწრაფად ახლოვდება ის საოცნებო ჟამი, როცა საქართველო უქართველებოდ დარჩება, რასაც ასე ნატრობენ მავანნი და მავანნი ჩვენს კურთხეულ სამეზობლოში!.. ჰო, ზარალდება ერის დემოგრაფია, მისი სახელმწიფო ენა, რესპუბლიკის სუვერენიტეტი, მაგრამ... აბა, ეს რა სადარდებელია?! ოდესმე ხომ დედამიწაზე ერთი ხალხი, ერთი ენა იქნება და, რა ბედენაა, ახლა დაკარგავ ეროვნებას და ენას, თუ, ვთქვათ, ასი ან ორასი წლის შემდეგ?!

აი, როგორი ბრწყინვალე, პირდაპირ ხელიხელსაგოგმანებელი აზრები მოგვდის ქართველებს თავში! ჩვენს გარდა ვინ ფიქრობს კიდევ ასე ღრმად, ვინ ხედავს სამყაროს ასე გლობალურად, მსოფლიო მასშტაბებით?!.

ა რ ა ვ ი ნ!.. რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ქართველებს გაგვაჩნია საოცარი ქ ც ე ვ ი ს უნარი: აღჭურვილთ ფსევდომეგობრობის ვარდისფერი სათვალით შეგვიძლია თვით მოსისხლე მტერშიც კი მაინცდამაინც გულითადი ძმა და მოყვარე დავინახოთ და მის მუშტებსა და მუჯლუგუნებს, ზოგჯერ კი სასიკვდილოდ მოღერებულ ლახვარსაც, ყოველისშემწყალე ღიმილით, თავაზიანი რევერანსებით და, საბოლოოდ, რიგ საარსებო მნიშვნელობის ეროვნულ უფლება-მოვალეობათა დათმობით ვუპასუხოთ!

მართლაც რომ იშვიათი, უნიკალური ქ ც ე ვ ა ა!

... ქ ც ე ვ ა სამია ქართულში, ღმერთიც სამობითაა და ასე უღმერთოდ მ ო ქ ც ე ვ ა ს ვითომ გვაპატიებს მამაზეციერი?

ა მ ი რ ა ნ მ ი ქ ა უ ტ ა ძ ე

ნახ. ბ. ზუბაშვილისა

ნახ. ჯ. ლოლუასი



— ეს კი, შვილო, ყველაზე საშიში მტაცებელია, ამან საქართველოს მიწები გაყიდა!..

* საზრიანი-იარაღიანი ლირიკა

რომ ვერ იშოვა „მანავი“,
ღვინო დალია მან ავი!..
იძახის: „რა მჭირს ნეტავი?!
ხან გული მტკივა, ხან — თავი!“

* * *

ჩაგისაფრდება სადღაც სატანა,
ჩაგისაფრდება სადღაც ახვარი!..
არ შეუძლიათ კაცის გატანა,
უნდათ გაძგერონ გულში ლახვარი!

* * *

ითამაშა პინგ-პონგი,
კინო ნახა „კინგ-კონგი“,
ჩამოჰკარი გინდ გონგი,
აღარ მოდის შინ გოგი!..
დაუღია შეფს პირი:
„ვინ არისო შექსპირი?“

* * *

იმერელი იკვეხნის:
„კურორტია სულ ორი,
კურორტია სულ ორი —
წყალტუბო და სულორი!“

* * *

შეეძინათ ბიჭი, შეეძინათ გოგო,
არც კი იცის ქმარმა, საიდან და
როგორ?!

* * *

მთელი ცხოვრება სხვის სკამს
უყურებდა ერთი კაცი,
ფიქრობდა: დამრჩებაო ის სკამი
თუნდ ერთი კვირით!
ის კაცი ისევ თავის სკამზე ზის
კვლავაც მკაცრი,
მეოცნებემ კი რა ხანია
მოგჭამათ ჭირი!..

* * *

რომ ჩამოხვალ მურმანსკიდან,
თაფლს ნუ გვპარავ, მურმან, სკიდან!

* * *

მე ისეთ კაცს რა ვუთხრა,
გვარს რომ გადაიკეთებს!
ვინც თავის ერს მოიძულებს,
სხვას დააყრის სიკეთეს?

* * *

ბლომად აბოლა ბიჭმა ჰაშიში
და შეიყარა სენი საშიში!..

ვანო სურგულაძე,
თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი.

«ნიანგის» სარედაქციო ფოსტა

სარედაქციო ფოსტას ჩვენი ბიუროს სახელზე რამდენიმე წერილი მოჰყვა. მათგან ჯერჯერობით მხოლოდ ორი გამოგვაქვს მკითხველის სამსჯავროზე.

ვაი, რა დავკარგეთ!

სოფელ კვატისუბნის მცხოვრებნი დიდი გულისტკივილით ვაუწყებთ ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებას, რომ ამ ორი კვირის წინ, ორშაბათს, ანუ საკავშირო პახმელიის დღეს, სოფლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა აქაური დაღმასკომის თავმჯდომარე კუკური (ღიპო) ხვადაგის ძე ტოტყიშვილი.

გარეგნული ნიშნები: საშუალოზე ოდნავ მაღალი, წარბებ და გულმკერდდაჯაგრული, ქშენით მოსაარულე და ხვნეშით მოლაპარაკე, იცვამს ორმოცდათვრამეტი ზომის ძალზე უბეგანიერ შარვალს, რადგან მასში გარკვეულ ადგილს იკავებს ძმასავით წამოსწრებული ღიპიც (მოფერებით ამიტომაც ვეძახით ღიპოს). თვითონ კუკური, ცალკე აღებული, სოფლის მეურნეობის ენით რომ ვთქვათ, საშუალო შეხოროცებისაა. ამიტომაც არის, რომ ყოველთვის წინ უსწრებს ძმასავით წამოსწრებული ღიპი — უწინ ის მიადგება ხოლმე პურმარილით გაწყობლ მაგიდას და ჩრდილშიც უწინ ის წამოგორდება ხოლმე.

ძალიან უყვარს ბირჟაზე დგომა და უნდომანდო ლაპარაკი, ღიპს რომ მეტი ადგილი დაუთმოს, ყოველთვის უკანალზე უწყვია ხელები და გასაღებების ჩონჩხალას ათამაშებს (უცხო ხალხი რომ ჩამოდის სოფელში და თავმჯდომარეს იკითხავენ, ამ ნიშნებით მივასწავლით ხოლმე და ყოველთვის პოულობენ).

საკმაოდ მოზრდილი ყურები აქვს — ბიბილოებჩამოდღლარძული და ნიკარებგადმოჩაჩული, მაგრამ თუ თავის სასარგებლო არ არის, არაფერი ესმის. ტურღუნია, თავჩაღუნული დადის, მაგრამ შეუძლია რიყეზე ისე გაიაროს, რომ ქვა არ დაინახოს.

ამიტომ უყვარს სოფელს.

კარგ ჭალს სათოფე მანძილზე ამჩნევს და ამ დროს გადმოცვენაზე აქვს თვალები. ცხვირწინ ვერაფერს ხედავს, მაგრამ მიუხედავად ასეთი გარეგნული მრისხანებისა, ძალიან კარგ გუნებაზეა და შეუძლია ნებისმიერ ქაღალდზე მოგიწეროთ ხელი და ბეჭედიც დაუბათქუნოს. სხვა შემთხვევაში კი ქაღალდზე ხელის მოწერას სიკვდილი ურჩევნია, ქსუტუნებს, ღობე-ყორეს ედება, მთხოვნელს ხელებში უყურებს, თითქოს რაღაცას ელოდება.

დიდპირაა და მსხვილტუჩება, ხარივით სვამს და ირქინება კიდეც. მის მიერ ერთ ქელეხში შეჭმული ხაშლამის ძვლებით ნახევარსოფელი შეიძლება მოიხრეშოს (თუ რამეს ჰგავს ჩვენი გზები, მხოლოდ ამის წყალობით).

მუხლსუსტი დიაცის სიახლოვე თუ იგრძნო და მას აედევნა. მაშინვე ყველაფერი ავიწყდება, ამიტომაც მიგვაჩნია, რომ შეიძლება სულაც ამ მიზეზით არის დაკარგული. ალბათ ვინმე ჯანიანი ქალი შეხვდა და მაგარ პალოზე დაბა.

მპოვნელს. ანუ დამბმელს ვთხოვთ. დროებით მაინც გამოუშვას — სოფლის ერთადერთი წყარო მის მაღალმესრიან და რკინისჭიშკრიან ეზოშია გამოკეტილი. წყუოვილით ვიხოცებით!..

დახოცვა ერთია და. მკვდრებიც ველარ დაგვიმარხავს!.. გამოუშვით. ჩამოვიდეს ჩვენი კუკური კვატისუბანში, ქელეხებს უთამადოს და მერე თუნდაც ისევ წაიყვანეთ!

ჩამოვიდეს. თორემ ჭერახდილ კლუბში, სკამებად რომ აგურები გვიწყვია, შეიძლება იმაზეც ააღებინონ ხელი! მაგის აჩემებულ აგურებზე ახლა ქვემოთუბნელი მუტრუკი ჯდება!..

რაკი ჯდება, ალბათ თავმჯდომარეობა უნდა!

თუ ვინმე ნახავს ჩვენს კუკურის, ძალიან ვთხოვთ ეს განცხადება თვითონ წაუკითხოს, რადგან ღიპო სულ ვერ იტანს ბეჭდვით სიტყვას!

იყიდეთ ტროსი — წააგებთ დროში!

„წარმოშობილი დროის ალტერნატივით სახელმწიფოსთან ჯანსაღ კონკურენციას გვიქმნის კოოპერატივი“, „კოოპერატივი — ეს გახლავთ რისკი, რითაც მოიპოვება პეწი, ხარისხი!“

ფრიად ვხარობდი ასეთი ლოზუნგებით, და რეკლამებით და საბოლოოდ ისე დავები, როცა პროდუქციის დამიდგა არჩევანი, კოოპერატივისა შევიბი ეჟვანი.

გზად მიმავალს გამიფუჭდა სამუხრუჭო ტროსი, ვჩქარობდი, ველარ ვეტეოდი დროში, ბედზე იქვე დამეხატა ავტოტექმომსახურების სადგური, არ დამჭირვებია არც პროტექცია, არც „ვერხი“, არც სხვა რამ ჯაჯგური, გადმომიღეს ახალთახალი ტროსი, ერძოდ აღარ მახსოვს, ვინ გადმომიღო — იყო მიშა თუ იყო ლავროსი.

ხელდახელ დამიყენეს მანქანაზე სამუხრუჭე ტროსი და, ტრასაზე გასულს, სულ მალე დამიდგა სამუხრუჭე ტროსი.

მოვწიე სახელურს, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ! — რკინის რაშს ოდნავაც არ ამოედო ლაგამი, თურმე შემიძენია ჩვეულებრივი კოოპერატიული ნაგავი!..

აქ კი შემერყა ლოზუნგებით ჩანერგილი რწმენანი, მაგრამ გვიან იყო სამუხრუჭოდ დამუშტულ თითებზე კბენანი!

ცხელ გულზე იქვე შევადგინე ორი შეგონება, წაიკითხავთ, ნაღდად აფორიზმი გეგონებათ:

„ნუ წაეპოტინებით კოოპერატიულ ტროსს, თუ არ გინდათ წააგოთ ფულიცა და დროც!“

„ტროსი კევივით იოლ იწელება, სულ არ დაგჭირდებათ ძალის მიშველება!“

P.S.

ამ წერილს გწერთ აკოფა, ვერ დავამუხრუჭე, თორემ სულ არ მინდოდა სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფა! კიდევ ვიყიდე კოოპერატივის პომპა, დავუყენე მანქანას, მაგრამ კვლავ ანტიფრიზში ვტოპავ.

ელგუჯა მერაბიშვილი

ნახ. ბ. ზუბაშვილისა



ნახ. ვ. ლომიძისა



თბილისის სანიტარული მდგომარეობა სავალალოა. და-სუფთავებისთვის კი ყოველწლიურად იხარჯება 12 მილიონ 310.000 მანეთი.

ფულხვეტია

სანტექნიკოსი

იუმორესკა

— რამდენ ხანს უნდა ვრეკო ზარი?! კარს რატომ არ მიღებთ?!

— ჩქარა, ქალო, სანტექნიკოსია, გეუშველა!

— რა მოხდა, ასეთი განგაში რომ ატეხეთ სახლმმართველობაში?

— ორი დღეა, ვედროების გადალევრას ველარ ავუდივართ, დღეს შეგვპირდნენ, დილიდანვე მოვაო!..

— დილიდანვე უკვე ათ ოჯახში ვიყავი, მარტო თქვენ კი არა ხართ ასეთ დღეში!

— ჩვენს იატაკს აღარ დავეძებთ, მეზობელთან არ ჩავიდეს!..

— ვნახავ ახლავე!.. ეს რა, „ვინტილი" არ იკეტება?

— რა ვიცი, ჩვენ მაგას არ გავეკარებივართ!..

— რამდენი ხანია, რაც აქ ცხოვრობთ?

— მეხუთე წელია.

— ჰოდა, დალოცვილო, ოთხი წელი „ვინტილს" რომ არ გახსნი და არ დაკეტავ, შეიძლება?! „კლუჩი" მომიტანეთ ერთი!

— არა გვაქვს!..

— მეზობელს ექნება და გამოართვით!

— ახლავე ვნახავ!

— ეს არ გამოდგება, ამით ვერც გახსნი, ვერც დაკეტავ, მაშინ მთელ სახლში უნდა გადაკეტოთ!

— მე როგორ გადავკეტო, არც ვიცი, სად არის.

— აბა, თქვენს სახლში თქვენ არ იცით, სად არის ჭა, და მე უნდა ვიცოდე?! მაშ, რისთვის დამიძახეთ?!

— თქვენი სახლმმართველობა ხომ ემსახურება ჩვენს კორპუსს?

— რომ ემსახურება, იმიტომ მოვედი, თორემ კი არ მეხალისება სიარული! თქვენს საქმეს ცოტა თქვენც უნდა მიხედოთ!

— კარგით, ჩავალ, ვიკითხავ, სად არის, და დავკეტავ.

— მანამდე გაზი, „პლასკაგუბცი" და კანაფი მომიტანეთ ერთი!..

— არა გვაქვს!

— ქალბატონო, როგორ შეიძლება ოჯახში ესენი არ გქონდეთ?! აბა, ახლა რა ვქნა?! ყველაფერს მე ხომ ვერ ვატარებ, არა?! თქვენ ახლა არც ახალი ვინტილები გექნებათ, ისე გატყობთ!

— არც ისა გვაქვს!

— აბა რიღასთვის იძახებდით სანტექნიკოსს, თუ არაფერი გქონდათ?!

— წყალი უკვე დავკეტე, როგორც იქნა!..

— მაშ, ახლა აილე ეს თქვენი მეზობლის „კლუჩი" და „ვინტილების" მოხსნაში მომეხმარე! ჰო, ასე, კარგია!.. ახლა ან მეზობელს გამოართვი ახალი „ვინტილები", ან გავარდი ტაქსით „სანტექნიკაში" და სასწრაფოდ მოიტანე!

— ახლავე წავალ!

— თქვენ, ქალბატონო, აგერ ჩემ ჩანთაში ცოტა კანაფია, დაახვიეთ მილს და ხელი არ გაუშვათ! ასე, კარგია!.. ახლა ეს წყალი აწმინდეთ! ესეც ასე! ელოდე ახლა, როდის მოიტანს „ვინტილებს"! რა ხალხია, თითქოს გუმინ არ შეიძლებოდა ამის ყიდვა!..

— აი, მოვიტანე. ბედზე ახალი მიღებული ჰქონდათ და ოთხი ცალი წამოვიღე. სხვებსაც არ ექნებათ...

— ორს გამოვცვლი, ეს ორიც თქვენ შეინახეთ. ერთი აქეთ მომეხმარე, მე გავუკეთებ „ვინტილს" და შენ მოუჭირე! ჰო, ასე, კარგია! ახლა ერთ-ორ თვეს აქედან წყალი აღარ გამოვა!

— დიდი მადლობა! აგერ, ა, 25 მანეთიდან აილეთ!..

— ჰო, კარგი, არა უშავს, 25 მანეთი იყოს, ხან ასე იქნება, ხან ისე!

მე და ჩემმა ცოლმა ხმა ველარ ამოვიღეთ. განცვიფრებულებმა გადავხედეთ ერთმანეთს!.. ისე, ძალიან კი გვაინტერესებს, ჩვენ რამდენილა გვეკუთვნოდა „მიხმარებაში"?

თეიმურაზ მორგოშია

აკითხული კარუსელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა.ბ. არ ბეკუ, ძვირფასო, კლასი!..

„ადამ ისეთსტატო ეობოდ ვოდ ნა ნგო: ვოდ ეხლი ბი ჩელოვეკ ზაბალნია ვ ეზბინნეფოდ. ხალუ ბი ვჩუდ ხეფლაკ ი ოდ ტუდა, ეზ ხეფლაკ, ვზინრად ბი ნა ტი, ჩტი ნად ნიმ. ეფეფლ ნა ხეფლაკ ეტოტ სიალეტ ნა ეტუ ჩასტ ტალა ბმოგრეტ ეზ ხეტარი ეზ ხეფლაკ, ვოდ ჩტი ბალე ბალეკ ეზ ეზ ეზ

გემრიელად, სასიკვდილოდ!..

ფელეტონი

მამალმერთს, როდესაც ხელისგულზე ედო დედამიწა და „კომისიის“ გარეშე, ერთპიროვნულად, კაცთა მოდგმას უნაწილებდა, ამ დროს ქართველი იჯდა პურმარილზე და ღმერთის სადღეგრძელოს სვამდა ნატურალური. ბოლოს ხსნარით შეუწამლელი ვაზის ნაყოფის — ყურძნის ღვინოთი!.. მამაზეციერმა შეიტყო მის სადიდებლად ნათქვამი სიტყვა. ესიამოვნა ერთგული, ვაჟკაცური საქციელი და ქართველებს უბოძა თავისთვის გადანახული წალკოტი იმ პირობით, თუ მას გამოიყენებდნენ მხოლოდ ქართველთა მოდგმისათვის. მაგრამ... ქართველი რა ქართველია, თუ „გაჭირვებულს“ — მოძმე ეროვნების ხალხს — ხელს არ გაუწვდიდა და ღმერთის მიერ მიცემულ საუკეთესო სავარგულებს მათ არ გაუნაწილებდა?!

XVI საუკუნეში ქალაქ გრემში (გრემი იმ პერიოდში ყვარლის რაიონს არ „ეკუთვნოდა“) **„დახხნა მეფემან ლევან ლეკნი, რათა ეზიდონ ზაფხულს კავკასიიდამ ყინული, და იყო არჩილამდე ეგრეთ...“ ხოლო XX საუკუნის სამოციან წლებში „თავისით“ გადმოვიდნენ ლეკნი დიდოელნი და დასახლდნენ ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფლის შემოგარენზე. „მოეწონათ“ ადგილსამყოფელი და მრავლდებიან ისე, როგორც მდინარე ავანის ხევში „ქვანნი დიდნი“** (ღმერთსა ვთხოვთ, გამრავლდეს ყველა თავის რესპუბლიკაში!)

საქართველოს სოფლის მეურნეობის რაიონებში ყველა ერის მაცხოვრებელს უყვარს სახელმწიფოსა და პირადი მიწის ნაკვეთებში „გეგმის ზევით“ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოყვანის დროს, „ეშმაკის“ დოზით შხამქიმიკატებისა და მინერალური სასუქების გამოყენება, რასაც შედეგად ადამიანთა მოწამვლა მოსდევს!..

თელავის საკოლმეურნეო ბაზარში არსებული აგროქიმიური ლაბორატორია ყოველდღიურად ამოწმებს კახეთის რაიონებიდან გასაყიდად შემოტანილ (ვერ ვიტყვით ჭარბს, ხშირად სასპეკულაციოდ) ხილში, ბოსტნეულსა და ბაღჩეულში ნიტრატების რაოდენობის შემცველობას. ჯერ კიდევ არსებობენ არაადამიანები, რომლებიც „აგროქიმიურ“ ომს უცხადებენ ხალხს, ფულის დიდი რაოდენობით შოვნის მიზნით არ ერიდებიან მახლობელთა მსხვერპლსაც კი!..

ყვარლის რაიონის სოფელ გავაზის მცხოვრებმა ნ. გაიკარაშვილმა- თელავის საკოლმეურნეო ბაზარში გასაყიდად მოიტანა ნესვი, რომელსაც შემოწმებისას აღმოაჩნდა 505 მილიგრამი ნიტრატი ერთ კილოგრამში, ნაცვლად 90-სა. სოფელ ბაღლოჯინიდან ვ. ყაველაშვილის მიერ მოყვანილ კიტრს 450 მილიგრამი ერთ კილოგრამში!..

თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალის მკვიდრების — ჯ. ნიაზოვის მწვანილში აღმოჩნდა 3743 მლგ კგ-ში, ნაცვლად 2000-სა, ე. აშიროვის მწვანილში — 3186. თანასოფლელთა შორის „რეკორდი“ დაამყარა ა. ისმაილოვის მწვანილმა, სადაც აღმოჩნდა 4131 მილიგრამი შხამი!..

გურჯაანის რაიონის სოფელ შაშიანის მცხოვრებმა მ. მწარიაშვილმა მთლიანად „გაამწარა“ თავისი ნესვი და თელაველ მოქალაქეებს მამასისხლად მიჰყიდა, მასში ნიტრატი აღმოჩნდა 259 მლგ. მწარიაშვილს „გაუსწრო“ მეზობელმა ვ. კაკიაშვილმა, რომელმაც თავის ნესვში „შეუშვა“ 144 მლგ-ით მეტი შხამი. ველისციხელი გ. მაილოვის „სასახელოდ“ უნდა ითქვას, რომ 1989 წელს კახეთის რეგიონში მისმა ნესვმა პირველი ადგილი „დაიკავა“ — ზედმეტი აღმოჩნდა 767 მლგ ნიტრატი!..

ზოგიერთი რაიონის „საქსოფლქიმიის“ გაერთიანებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები შხამქიმიკატების შენახვა-დაბინავებისა და გამოყენების საქმეში დიდად სცოდავენ, არა აქვთ ტიპური საწყობები, ამიტომ მოსახლეობის ნაწილი სარგებლობს ამით და სახელმწიფო ქონებას — შხამქიმიკატებს — იყენებენ პირადი გამდიდრების მიზნით. ალბათ დაინტერესდებიან რაიონების ხელმძღვანელები და საგამომძიებლო ორგანოები და დამნაშავეების მიმართ, შხამქიმიკატებს რომ იყენებენ უდანაშაულო ხალხის მოსაწამვლად, გაატარებენ მკაცრ ღონისძიებებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 28 ივნისის № 184 დადგენილებით შხამქიმიკატების გამოყენების წესების დამრღვევები მიეცემიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე, ან ჯარიმას ათას მანეთამდე.

[illegible]ების დაცვის სარაიონთაშორისო კომიტეტები რეგულარულად ამოწმებენ აღნიშნულ საკითხებს და დამნაშავეების მიმართ ატარებენ ადმინისტრაციულ ღონისძიებებს.

მოქალაქეებმა, რომლებსაც სურთ ხილის, ბოსტნეულისა და ბაღჩეულის ყიდვა საკოლმეურნეო ბაზრებში, გამყიდველებს უნდა მოსთხოვონ ლაბორატორიის ცნობა. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია მოწამვლა!

იფრთხილეთ, მოწამვლა ხშირად სასიკვდილოა!

ჯანო ბიორბელაშვილი,
„ნიანგის“ კორესპონდენტი თელავის ზონაში.

ნახ. ვ. კუციასი

— ვაიმე, ჩვენი ბენზინი მოუპარავთ... „უიგულიანად“!..

— ხალხო, ბენზინი გამოუშვით, თორემ ქმარი გამილოთდა!..



ალბომიდან

ნატვრა

ქვეყანაზე მინდა,
ბევრი რამე მინდა,
არასოდეს იყოს გული ცარიელი!..
მინდა ყველა,
ყველა იყოს სულით წმინდა,
წმინდა იყოს,
როგორც მიქელგაბრიელი!..
მაშინ,
მაშინ ავკაცის და უსაქმურის
არ იქნება ხსენება
და ჭაბანება!..
დაფახდება
ნაოფლარი ლუკმა პური,
კაცის ცოდნა
უეჭველად დაფასდება!..
გათენებას არ ერქმევა
მაშინ ომი,
სიკეთის ხეც
არასოდეს არ გახმება!..
ამოავსებს
სულს ვარსკვლავთა
ჩუმი კრთომა
და დღეებიც აყვავდება
ზამბახებად!..

ქვეყანაზე მინდა,
ბევრი რამე მინდა,
სიყვარულით იყოს
გული ხვავრიელი!..
ყველა კაცი სანთელივით
იყოს წმინდა,
შეუვალი,
როგორც მიქელგაბრიელი!..

* * *

ქალაქს ჭირივით მოედო
გაზების გამონაბოლქვი!..
სიტყვა აქუხე, პოეტო,
დღეთა სათქმელი ამოთქვი!
კაცი სახლში ვერ მიბრუნდა, —
გახშირდა ეს ავარია!..
შემოსევაა „უიგულთა“,
თუ მართლა ხონთქრის ჯარია?!
მოგვდევს სიკვდილი უძღები,
ღმერთების გამონაგონი!..
ვიდრემდის გავნადგურდებით,
ქვეყანას უნდა პატრონი!..
ცოტა — ჭკვიანი მიუჯდა
საჭეს და ბევრი — დებილი!..
ფული დაგროვდა „ბითურთან“,
აიგო ციხე-ჯებირიც!..
ჩვენც გველის ჩვენი ბაჭანი,
არც ზღაპარია,
არც მითი!..
სახმელი, სკამი, მანქანა
ჯილდოა ჭკვიან კაცისთვის!
თუმცა ხალხია ძლიერი,
ეკითხა მუდამ წინამძღოლს!..
ცოდვის გამხელა გვიშველის,
ყველას თავისი მივაგოთ!
ბეწვის ხიდია გზა-შარა
და არც გზებს ვწუნობთ ხვინჭიანს!..
გაკიცხე, დაგმე, დაშალე,
რადგან გაბედვაც ნიჭია!..
მეც მითქვამს:
ზოგიერთები
იბადებიან ლაჩრებად!..
ეს ლექსი ცოდვად დამედოს,
თუ მარტო ლექსად დარჩება!

რამ გაგაოცა?!

სიცოცხლეში, სიცოცხლეში,
სიცოცხლეში გვკლავენ როცა,
რა სიკვდილმა, რა ჯანდაბამ,
რა ეშმაკმა გაგაოცა?!.
რეგვენი და ვიგინდარა,
ვით წურბელა, უზის სახრავს!..
იჯახირე, ისწავლე და
ამიტომაც გქვია გლახა!..
მე რომ ვიცი, შენ რომ იცი, —
სახაცილოდ არვის ჰყოფნის,
მაგრამ მაინც ტკბილი გემო
აქვს პურს ნაშოვნს კაცის ოფლით!..
სახლში აღარ გაგიჩერეს
ღვინით, არყით სავსე ბოცა,
მაინც დედულს, მაინც მამულს
და ბრიალა შენს მზეს ლოცავ!
რომ გაცინებს, რომ გატირებს,
ეს ხელი და ის ხელია,
ბევრი, ბევრი ამ ცხოვრების
მხოლოდ გადამკითხველია!..
ეს ქვეყანა დაეურუა
უსულგულო ხვევნა-კოცნამ!..
ვის დასცინი, შე ოხერო,
სახაცილო შენ ხარ როცა?!.
როცა ყველა თავის ადგილს
მიუჯდება, ვით თბილ კოცონს,
ჭეშმარიტად ამან, ამან,
ამან უნდა გაგაოცოს!..
გამრუდებულ გზას და ყორეს
ლოცვით ველარ გაასწორებ!..
შველა უნდა ამ ქვეყანას,
შველა უნდა ახლა სწორედ!..

სიცოცხლეში, სიცოცხლეში,,
სიცოცხლეში გკლავენ როცა,
რა ჭირმა და რა ბნედამ და
რა წკვარამმა გაგაოცა?!.

ზაზა გურგუჩიანი

ახალი ქალაქური ზღაპრები

საოცრება სხვა რესპუბლიკელთათვის

მამაკაცი, რომელმაც ათი წუთის წინ ტაქსის მძღოლს სთხოვა, მომიცადეთ, ხუთ წუთში დავბრუნდებიო, ტვირთით ხელდამძიმებული მიუახლოვდა მანქანას.

სკამის საზურგეზე გადაწოლილი, მშვიდად მომლოდინე, წიგნის კითხვაში გართული მძღოლი მის დანახვაზე სწრაფად გადმოვიდა, საბარგული გაუღო, ტვირთის ჩალაგებაში მიეხმარა. ისევ ადგილს დაუბრუნდა, დაელოდა, როდის მოკალათდებოდა მგზავრი. მოტორი აამუშავა და მოკლედ ჰკითხა.

— ახლა საით?

— ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე... ბოლოში!

ნელა დაიძრნენ. მოსახვევში შუქნიშანთან გაჩერდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ახლომახლო ავტოინსპექტორი კი არა, წითელსამკლაურიანი სახალხო რაზმელიც კი არ ჩანდა, მოთმინებით დაელოდნენ დამატებითი ნათურის ანთებას და აუჩქარებლად გაუდგნენ გზას.



შორიახლოს ტროტუარის კიდეზე გაჩერებულმა კაცმა ტაქსის დანახვაზე წინ გადმოიწია. ხელი დაუქნია და მიახლოებისას ღია ფანჯრიდან შესძახა: „პ ა ვ ლ ო ვ ზ ე!“ მძღოლმა ოდნავ შეანელა სვლა, გვერდით მჯდომს კითხვით შეხედა და ისევ აქსელერატორს დააწვა. ოციოდ მეტრით თუ იქნებოდნენ დაშორებული ქუჩაში დარჩენილისგან, რომ მგზავრი გაოცებით შემობრუნდა მისკენ.

— რატომ არ გაუჩერეთ? ეგეც ხომ იქით მოდიოდა?

— თქვენი ნებართვის გარეშე? — არანაკლებ გაოცდა მძღოლი. ტროტუარზე მდგომს სინანულით გახედა და განაგრძო: — ახლა უკვე გვიანია, აქ გაჩერება არ შეიძლება!

ორიოდე წუთის შემდეგ, მგზავრმა კორპუსისაკენ გადახვევა სთხოვა. სადარბაზოსთან გააჩერებინა და მრიცხველს, რომელზეც 1 მანეთი და 12 კაპიკი ეწერა, დახედა. მძღოლს ერთი წამითაც არ უფიქრია, რომ მისი მგზავრი გავლენიანი კაცი იქნებოდა, მაგრამ ფულის მიწოდებისთვისაც არ დაუცდია, მანქანიდან გადავიდა და ბარგის ამოლაგებას შეუდგა.

მგზავრმა მიხმარებისთვის მადლობა გადაუხადა, მანეთი და ოცი კაპიკი გაუწოდა და კორპუსისკენ შეტრიალდა.

მძღოლი ჩვეული სიმშვიდით მიუჯდა საჭეს და ისე დაძრა მანქანა, რომ მისთვის არც გამონაბოლქვი შეუფრქვევია და არც საბურავებისგან ანასხლეტი ნაგავი. ბოლოს კი გულშიც არ შეუგინებია და არ უთქვამს: — ახვარი და მათხოვარი მგზავრი!..

უსაშველო ამბავი

უნივერმაღში ისეთი მჭიდრო და გრძელი რიგი იდგა, სადღესასწაულო დღეებში სასურსათო მაღაზიებსა და ყოველი კვარტალის ბოლოს ბენზინის ჩამოსასხმელ წერტებთან რომ დგას ხოლმე.

რიგის თავში, რომელიც უნივერმაღის მეორე სართულზე, ფეხსაცმელების სექციასთან იწყებოდა, გამყიდველებს უხვად გამოეტანათ ჩეხური და გერმანული, ინგლისური, ფრანგული და მსოფლიოში სახელგანთქმული სხვა მრავალი ფირმის ფეხსაცმელები. შეემკოთ ისინი შესაფერისი რეკლამებით, სახელმწიფოფასმიკერებულები ჩამოემწკრივებინათ დახლებსა და თაროებზე და სიტყვიერ ქება-დიდებასაც არ აკლებდნენ, რომ როგორმე მიეზიდათ გარსშემოჯარული მოქალაქენი.

მაგრამ უძრავად და გაფიცულებივით იდგნენ უნივერმაღის დღევანდელი სტუმრები. არად აგდებდნენ მათ ლაპარაკს. კუშტად, მუქარაგამომკრთალი მზერით ათვალიერებდნენ და უხმოდ სთხოვდნენ თუ მოითხოვდნენ რალაც სხვას.

უცებ რიგის ბოლოში ჩოჩქოლი ატყდა. მოშორებით მდგომნი სმენად იქცნენ და გარკვევით გაიგონეს: — „მოაქვთ!“ „ეს არის!“ „საწყობში არ შეუშვათ, თორემ გადამალავენ!“ ამასობაში დიდი, მუყაოს ყუთებით დატვირთული, ტყვეებივით ვილაც უცნობების წრეში მოქცეული, მათსავით შუბლშეკრული და რალაცის თქმის მსურველი მუშები გამოჩნდნენ, რომელთაც ლაპარაკს არ აცლიდნენ გარსშემოხვეულნი, საწყობში ჩუმად შეტანის მცდელობას სწამებდნენ და თითქმის ძალით მიერეკებოდნენ წინ.

— ხალხო, იქნებ სხვა რამეა! — წამოიძახა ვილაცამ და წინ გადაელობა, — გასინჯეთ, არ მოგატყუონ, სხვა მხრიდან არ შეიტანონ, თორემ ნახევარს მაინც გადამალავენ! — პირველს მეორე აჰყვა, მეორეს — მესამე!.. მუშები შეაჩერეს. ყუთების გახსნა მოსთხოვეს, უარზე ძალით წაართვეს. მათ მისაშველებლად მისულ გამყიდველებსა და უნივერმაღის ხელმძღვანელობას აღუთქვეს: „მხოლოდ დასარწმუნებლად ავხდით და ისევ რიგში ჩავდგებითო“ და ყუთებს სახურავები ააგლიჯეს!..

ეჭვი უსაფუძვლო გამოდგა. ყუთებში ფაბრიკა „ისნის“ ფეხსაცმელები ეწყო!..

ალფრთოვანებულმა მუშტრებმა დანაპირები აასრულეს. უყოყმანოდ ჩადგნენ რიგში და გამყიდველებს საშუალება მისცეს, ჯერ მიეთვალათ საქონელი, შემდეგ კი გაეყიდათ!..

დახლთან ახლოს მყოფები სიხარულით იცარიელებდნენ ჯიბეებს და რამდენიმე წყვილი ერთად მიჰქონდათ. მაგრამ ბოლოში მყოფნი არ ღელავდნენ, რადგან მუშები შეუსვენებლივ ეზიდებოდნენ მანქანების ძარებთანვე გახსნილ ყუთებს, საიდანაც ისევ და ისევ ფაბრიკა „ისნის“ ფეხსაცმელები მოჩანდა!..

№ 641
2. XI 1989

* * *

კაცი — გაფუყული დადის,
კაცი — ღრუბელივით დადის,
სპასალარის მიხრა-მოხრით,
მკაცრი გამოხედვით ყადის.
ანუ — არის ბრძენი ვინმე,
ანუ — ქატოდ არ ღირს მჭადის,
ამას ვწუხ და ამას ვსტირ მე —
ჩვენი მოტყუება სწადის.
მაგრამ ოცი წელი გადის!
ვთქვი თუ: არ ჰყავს მთქმელი მართლის,
თვითონ — კეისარმა უთხრას,
რაკი წელიწადებს არ თვლის!
მაინც — იანვრები ბარდნის,
სდევს თებერვლებს ჭყაპი მარტის —
არცა — ქვეყნის ბოსტანს ბარავს,
არცა — ქვეყნის ვენახს ხარდნის,
დღესა ყოველს ესრეთ სჩადის:
ზუსტად ნახევარზე ათის
„ვოლგის“ სავარძელში ჯდება
მილმა — აბრეშუმის ფარდის.

მურმან ლებანიძე

ილუსტრაცია ზ. ფოჩხიძისა

ყველაფერი იუმორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოსტნეულის მაღაზიაში, გამყიდველთან აღელვებული ქალი შემოვარდა:
— ჩემმა შვილმა თქვენთან ხუთი კილო ვაშლი იყიდა, სახლში ავწონე ვაშლი და ოთხი კილო გამოვიდა!..
— შვილი თუ აწონეთ, ქალბატონო? — მშვიდად ჰკითხა გამყიდველმა.

* * *

— ეს დღევანდელი პურია?
— არა, გუშინდელია!
— დღევანდელი როდის იქნება?
— ხვალ!

* * *

აღელვებული კალატოზი მშენებლობის უფროსთან მიიჭრა:
— ბატონო უფროსო, დაინგრა ბლოკი, რომელიც გუშინ დავამთავრეთ!..
— საშინელებაა!.. ხომ გეუბნებოდით, შპალერის გაკვრამდე ხარაჩოები არ მოაშოროთ-მეთქი?!.

* * *

— რამდენი კაცი მუშაობს აქ?
— ბრიგადირიანად შვიდი!
— უბრიგადიროდ ექვსი, არა?
— არა, უბრიგადიროდ არც ერთი არ მუშაობს!

* * *

ეჩეკი აგურებისაგან მაღალ შენობას აგებდა. უცებ შენიშნეს სამშენებლო მოედნისკენ მომავალი ინსპექტორები. მუშები მაშინვე ეცნენ სამუშაოს. ეჩეკი კი ცარიელ ურიკას დაატრიალებდა. ინსპექტორები გაოცებულნი მისჩერებოდნენ მას. ბოლოს ერთმა ვეღარ მოითმინა და ჰკითხა:
— თქვენ რას დაათრევთ ცარიელ ურიკას?
— იცით, გეგმა ისე გვაჩქარებს, რომ ვერც კი ვასწრებ ჩატვირთვას!..

* * *

მიმდინარეობს ლექცია რელიგიის შესახებ. რთული მასალის ახსნის შემდეგ მოძღვარი კითხვას უსვამს ეჩეკს:
— მიპასუხე, ვინ ხედავს და ვის ესმის ყველაფერი?
— ჩვენს მეზობელ კლიჩინოს! — ყოყმანის გარეშე პასუხობს ეჩეკი.

პოლონურიდან თარგმნა ია რეხვიაშვილმა

„ნიანგს“ უპასუხებს

სამტრედიის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გორის ფოცხვერაშვილი

ჟურნალ „ნიანგის“ 1989 წლის მე-13 ნომერში მოთავსებული „ფოტობრალდება“ სამტრედიის რაიონის სოფელ ეწერში ტექნიკის უპატრონოდ მიტოვების ფაქტებზე, სწორია.

განვმარტავთ, რომ ფოტობრალდებაში ნაჩვენები ტექნიკიდან ორი ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომლებიც ეკუთვნით სამტრედიის რაიონის სოფელ ეწრის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობასა და საქაგრომრეწვის სამშენებლო სარემონტო მექანიზირებული სამუშაოების საწარმოო გაერთიანების სამტრედიის № 2 მოძრავ მექანიზირებულ კოლონას (ხელმძღვანელები: **გ. ი. ივანიაძე, ს. შ. ახობაძე**) ამორტიზირებულია, ჩამოწერილია და ამჟამად ლიკვიდირებულია.

რაც შეეხება ბელორუსიის მოდიფიკაციის ტრაქტორს, როგორც დადგინდა, იგი ეკუთვნის აბაშის რაიონის სოფელ კეთილარში არსებულ კოოპერატივ „შრომის“ წევრს, სოფელ ეწერში მცხოვრებ **ი. კოპალეიშვილს.**

რაიონის ხელმძღვანელობა ბოდიშს გიხდით პასუხის დაგვიანებისათვის, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ რაისაბჭოს აღმასკომმა, აგროსამრეწველო გაერთიანებასთან ერთად, მთლიანად შეისწავლა რაიონში არსებული ტექნიკის მოვლა-პატრონობისა და შენახვის მდგომარეობის საკითხი და გაატარა შესაბამისი ღონისძიებანი ამ მხრივ არსებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ.

89-642

ნახ. მ. აბაშიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ № 20 (1798). ოქტომბერი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ჰაბუა ამირეჯიბი, ნოდარი ბართაია, ბორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა (მხატვარ-რედაქტორი). ნოდარ მალაზონია, ალექსანდრე სამსონია, ზეურ სიხარულიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ჯანსულ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნაფი ჯუსოითი.

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გადაეცა ასაწყობად 26. 09. 89 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25. 10. 89 წ. ქაღალდის ზომა 60×90¹/₈, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის 14. შეკვ. 2153. უე 04720. ტირაჟი 130100. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

ჩვენი მისამართი: 380008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ.

ინდექსი 76187